BTU | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ბიზნეს ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები - MBA

ვინ ვართ ჩვენ ?

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი 2016 წლის 16 სექტემბერს დაფუძნდა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ავტორიზებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ქვეშ მყოფი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. BTU ახორციელებს მაღალი ხარისხის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, სადაც აქცენტი გაკეთებულია ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაზე ორიენტირებულ სწავლებაზე.

BTU ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რაც ზუსტად პასუხობს მიმდინარე ტენდენციებს და ადგილობრივ თუ გლობალურ საჭიროებებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევითი ცენტრი, კარიერული განვითარების ცენტრი, სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიები: ინდუსტრია 4.0 ლაბი, iOS & Android ლაბი, AI ლაბი, განახლებადი ენერგო წყაროების ლაბი, ბლოქჩეინ ლაბი, კიბერუსაფრთხოების ლაბი, მდგრადობის ლაბი, Microsoft ლაბი და Martech ლაბი. ამასთან, უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს მეწარმეობის ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციური და სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი არის არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ასოციაციის და ორგანიზაციის წევრი. BTU-ში განხორციელდა და მიმდინარეობს ინსტიტუციური განვითარების 120-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი, რომლის ბენეფიციარიც ყოველწლიურად 1000-ზე მეტი პირია ქვეყნის მასშტაბით.

ბიზნეს ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები - MBA

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (MBA in Management)

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (ECTS) - ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის საფასური: 3500 ლარი

მისაღები სტუდენტების რაოდენობა: 50

პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

საგნები, რომლებსაც შეისწავლი პროგრამის ფარგლებში:

- თანამედროვე ტექნოლოგიები ბიზნესში;
- ბიზნესი და მდგრადი განვითარება;
- სტატისტიკა ბიზნესისათვის;
- ინოვაცია და სამეწარმეო უპირატესობა;
- ფინანსური აღრიცხვა;
- სტრატეგიული მარკეტინგი;
- ფინანსური მენეჯმენტი;
- ოპერაციათა მენეჯმენტი თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით;
- ლიდერობა და ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტი;
- პროექტების მენეჯმენტი;
- სტრატეგიული მართვა და სხვა.

ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის საშუალებით:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

იმისათვის, რომ მაგისტრანტობის მსურველმა ჩააბაროს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში წარმატებით უნდა გაიაროს სამი საგამოცდო ეტაპი:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდა;
2. საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან წარმოადგინოს B2 დონის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი;
3. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.

მიილე მეტი სამუშაო აღგილი

BTU-ს MBA-ს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს გექნებათ შესაძლებლობა ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში, კერძო და საჯარო სექტორში, შუა და მაღალი რგოლის მენეჯერებად დასაქმდეთ შემდეგი მიმართულებებით:

- ბიზნესის განვითარება და სტრატეგიული მართვა;
- ოპერაციების მენეჯმენტი;
- პროექტების მენეჯმენტი;
- ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე, აუდიტი;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მარკეტინგი, ბრენდ მენეჯმენტი, კრეატიული ინდუსტრია;
- გაყიდვების მენეჯმენტი;
- ლოგისტიკა, შესყიდვები;
- მონაცემთა ანალიტიკა და სხვა.

მიილე მეტი კარიერული მხარდაჭერა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს 300-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი კომპანია ჰყავს, რომლებთან თანამშრომლობითაც MBA-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ:

- ბიზნესკომუნიკაციის სესიებსა და პროფორიენტაციის შეხვედრებში;
- პანელურ დისკუსიებში, საინფორმაციო შეხვედრებსა და მასტერკლასებში;
- ინდუსტრიის წამყვან ექსპერტებთან შეხვედრებში;
- ტრენინგებსა და სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში;
- Case & Mock ინტერვიუებში;
- დასაქმების ფორუმებში;
- Networking ღონისძიებებში.

უწყვეტი განათლების პროგრამა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ყველა კურსდამთავრებულისთვის მოქმედებს უწყვეტი განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტში ყველა მოქმედი პროგრამის სასწავლო კურსები.

მიილე მეტი საერთაშორისო პრაქტიკა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის MBA-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამებით.

BTU სტუდენტებს სთავაზობს მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებსა და სრულად, ან ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს.

მიილე მეტი - ერთდროულად ორი დიპლომის დაუფლების შესაძლებლობა BTU- ში

ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (Polytechnic Institute of Braganca, Portugal) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ერთდროულად ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას იძლევა და პორტუგალიაში მაგისტრატურის ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

BTU BTU BTU
BTU BTU BTU

დეტალური ინფორმაციის მისაღებად შემოგვიერთდი BTU-ს მაგისტრანტობის კანდიდატების Facebook ჯგუფში

მიიღე მეტი - აირჩიე BTU

საკონტაქტო ინფორმაცია

(+995 32) 2 195 015 | info@btu.edu.ge

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N82

BTU | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი